კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლ. ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 295 (19137) [redacted] სამშაბათი, 25 დეკემბერი, 1984 წელი. [redacted] ფასი 3 კაპ.

რუბრიკით — „საქართვე-
ლო-1984" — დღევანდელ
ნომერში დაბეჭდილია:

● სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საქართველოს მიკროკლიმატი სოფლის (I გვ.)

● სახალხო ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ... მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის შესახებ. (III გვ.)

● მაია ჩიბურდანიძის დიდოსტატური წელიწადი. (IV გვ.)

საქართველო — 1984

წინასაახალწლო რეპორტაჟი

სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენიდან

 დიდუბეში, ცისარტყელას მსგავსი ბეტონისთაღიანი მშვენიერი ბალი სტუმრებსაც შემჩნეული ჰგონიათ და მასპინძლებსაც... ეს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაა, უფრო სწორად, აქ მთელი საქართველოს მიკროკლიმატი სუფევს, და რაც ჩვენი შრომა-გარჯის ყველა თვალსაჩინო ადგილი მოგვილიათ და მოვლინებულებიათ და რა აქ მიზრძანებულხარით...

აქ მშვენიერ პავილიონებს თვალსაჩინოდ შეიძლება ჩვენი რესპუბლიკის სარკე ვუწოდოთ. როგორც წვეთ წყალში ოკეანე შეიძლება აისახოს, ისე ამ გამოფენაზე შეგვიძლია საქართველო დაინახო მთლიანად.

ხალხან არ მოსულან აქ — სხვადასხვა ქალაქებიდან და რესპუბლიკებიდან, სოციალისტური და უცხო ქვეყნებიდან. ეცნობიან საქართველოს, დღევანდელ საქართველოს, რას მიაღწია უკანასკნელ ხანს ჩვენმა რესპუბლიკამ, როგორ შეცვლილია შეუქმნა ხუთწლედის ტოლფასი წლები.

საქართველოში როდესაც „დამნაშავეებს" ასახლებდნენ, დამსჯელი რაზმები და ეგზეკუციები, ერმოლოვები და ალიხანოვები ცეცხლითა და მახვილით მოდიოდნენ, მაგრამ ამ გზით მოვიდა საქართველოს ერთიანი განთავისუფლების იდეას დიდმა თერგდალეულებმა აქ დაწმინდეს მღვრიე ტალღა, ანკარა, სუფთა, მეგობრობის წყაროდ აქციეს თერგი...

მაღალი, ჭაღარა, წარმოსადეგი, ალბათ უკვე ასაკოვანი მეცნიერი მოგვიახლოვდა და გვკითხა:

— დიდი ხანია ეს გამოფენა არსებობს?

— კარგა ხანია!

— მე მინახავს, როცა ევროპის ქვეყნებში მოსწავლეები პირველად მიჰყავთ რომელიმე მუზეუმში, გაკვეთილს იქ უტარებენ! დიახ... დიახ... გაკვეთილს. დარწმუნებული ვარ ეს დღე მთელი სიცოცხლე გახსოვთ ბავშვებს!

ჩვენშიც დაიწყეს!

— დიახ, მხოლოდ დაიწყეს, ჩვენთან კი ჯერ არ ქცეულა. ურიგო არ იქნებოდა, მასწავლებლებს მოეყვანათ თავიანთი მოსწავლეები არა მარტო დასათვალიერებლად, არამედ გაკვეთილიც ჩაეტარონ ბუნებისმეტყველებაში, გეოგრაფიაში, საზოგადოებათმცოდნეობაში, ენებსა და ისტორიაში. მე რომ მასწავლებელი ვიყო, აქ ჩავატარებდი გაკვეთილს სამშობლოს სიყვარულზე... რამდენი ჰექტარი იქნება ეს მშვენიერი ბალი?

— იქნება, ასე, ათი ჰექტარი!

— აი, თემა — „საქართველო ათ ჰექტარზე"! საქართველოზე, რესპუბლიკის მიღწევებზე, აღფრთოვანებით ლაპარაკობდა. საქართველოში ომის წინ ვიყავი, მერე ჰოსპიტალშიც აქ მოვხვდი, ვიცნობ თქვენ ხალხს, ომშიც მინახავს და შრომაშიც...

ჩანს, ეს კაცი ბუნებით მასწავლებელია, და დაიწყო „სიყვარულის გაკვეთილი!"

რა შეიძლება იყოს იმაზე კარგი, როცა უცხო კაცი სამშობლოს გიქებს, სულ სიღრმით აქ კაცს, თუ რამ გაგვაჩნია.

და თითქოს პირველად ფიქრობ, დღეს საქართველო მძლავრი ინდუსტრიული ... [illegible]

... მეადრი დედამიწას. ახლა ჩვენში — საქართველოს აწმყოს ვერ შეადრი წარსულს, ეს იგივეა, იალბუზი ბორცს შეადარო. ... [illegible]

საქართველო მიიჩნევს

... ერთი წელი. ... ტური საზოგადოების აღმშენებლობის პროგრამის განხორციელების ათვის მუყაითი გარჯის კიდევ ერთი წელი. ... ნი წარმატებები მოიპოვეს სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის შემდგომი აღმავლობა-განვითარების ამო... დღეობის განუხრელი ამაღლებისათვის მეცადინეობა ჩვენი ცხოვრების, ჩვენი შრომის ნორმა და კანონი გახდა. წელი მთავრდება და ახლა ... ჩვენი გულისყური სამომავლოდ — ხუთწლედის დამამთავრებელ წელს. სწორედ განვლილი ერთი წლის მანძილზე გაწეული ... და რომლებსაც მკითხველი ჩვენი გაზეთის 1984 წლის ბოლო და 1985 წლის პირველ ნომრებში იხილავს.



დიმიტრი თევდორეს ძე უსტინოვის დაკრძალვა

სამგლოვიარო მიტინგი წითელ მოედანზე

საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტია, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრები 24 დეკემბერს გამოეთხოვნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს, საბჭოთა კავშირის მარშალს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს დიმიტრი თევდორეს ძე უსტინოვს.

მესამე დღეა ძიებში ... კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზი. დარბაზის ცენტრში მაღალ კვარცხლბეკზე გვირგვინებითა და ყვავილებით შემკულ მაღალ კვარცხლბეკზე დგას ურნა გამოხენილი მეღვაწეთმთავრის ნეშტით.

... ნის მეთაურობით; ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა — ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოადგილის, გენერალ-ლეიტენანტ ს. საისონკჰამის მეთაურობით; ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკისა — ეროვნული თავდაცვის მინისტრის, გენერალ-მაიორ ნ. მუჰამედის მეთაურობით; კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკისა — თავდაცვის მინისტრის მოადგილის ტია ბანის მეთაურობით; სოციალისტური ეთიოპიისა — ეთიოპიის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ... თავდაცვის მინისტრის, ბრიგადის გენერლის ს. მ. ყასემის მეთაურობით; მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკისა — ფრელიმოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, მოზამბიკის განთავისუფლების სახალხო ძალების გენერალური შტაბის უფროსის, გენერალ-პოლკოვნიკ ს. მაბოტეს მეთაურობით; ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა — ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის პოლიტბიუროს წევრის, გენერალ-მაიორ ა. ბელჰუშეთის მეთაურობით. ქლერს სამგლოვიარო მელოდიები.

საპატიო ყარაულში დგებიან ... და თანამებრძოლები. დგება გამოთხოვების უკანასკნელი წუთები.

ქლერს სამგლოვიარო მელოდია და ურნა დ. თ. უსტინოვის ნეშტით გამოაქვთ კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზიდან და დგამენ ქვემეხის ლაფეტზე. კორტეჟი ნელა მიემართება წითელი მოედნისაკენ.

პროცესიის წინ მიაქვთ უამრავი გვირგვინი და ალისფერი ბალიშები დ. თ. უსტინოვის ჯილდოებით, რომლებითაც აღინიშნა მისი დიდი დამსახურება სამშობლოს წინაშე.

წითელ მოედანზე თავი მოიყარა დედაქალაქის ათასობით მშრომელმა. აქვე, ტრიბუნებში ...

... ვი, ნ. ა. ტიხონოვი, ბ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ვ. მ. ჩებრიკოვი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. ვ. კაპიტონოვი, ი. ქ. ლიგაჩოვი, ნ. ი. რიჟკოვი, ქ. ვ. რუსაკოვი, დამკრძალავი კომისიის წევრები.

სამგლოვიარო მიტინგს ხსნის მთავრობის კომისიის თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ვ. რომანოვი. მან აღნიშნა, რომ კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები სამუდამოდ ეთხოვებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, საბჭოთა კავშირის მარშალს დიმიტრი თევდორეს ძე უსტინოვს — პარტიისა და საბჭოთა ...

[illegible]



[illegible]

(დასასრული 20-ე გვ.)

სურათებზე: სამგლოვიარო მიტინგი წითელ მოედანზე; ... [illegible]

საქარ-სახინფორმის ფოტოქრონიკა.

აგროსამრეწველო კომპლექსის მშრომელთა წარმატება

როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც შედიან საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსში, ვადამდე შეასრულეს სასოფლო პროდუქციის წარმოების მოცულობის გეგმები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა სახელმწიფოს ჩააბარეს ასი ათასი ტონა მარცვლეული, 677 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 544 ათასი ტონა ხილი, 410 ათასი ტონა ბოსტნეული, 192 ათასი ტონა კარტოფილი, 88 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი, 88 ათასი ტონა ციტრუსოვანი კულტურები. მეციტრუსეებმა, რომლებმაც ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში შეასრულეს, დაამზადეს 1.117 ათას ტონაზე მეტი ციტრუსები. (საქინფორმი).

საქართველოს კომპოზიტორთა VII ყრილობას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითადად მიესალმება საქართველოს კომპოზიტორთა VII ყრილობის დელეგატებს და უსურვებს მათ ნაყოფიერ მუშაობას.

საქართველოს კომპოზიტორები და მუსიკათმცოდნენი, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის მთელი მუსიკალური საზოგადოებრიობა, თავიანთ ნიჭსა და ცოდნას ახმარენ კომუნისტური მშენებლობის ნათელი იდეალებისადმი სამსახურის კეთილშობილურ საქმეს, აქტიურად მონაწილეობენ საბჭოთა მრავალეროვნული კულტურის შემდგომი განვითარების, მშრომელთა იდეურ-ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესების შესახებ სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ... [illegible]

როგორიც არის „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული", „საბჭოთა ამიერკავკასიის მელოდიები", საბჭოთა მუსიკის ფესტივალები საქართველოს სს რესპუბლიკაში, მოსკოვის, ლენინგრადის, ბალტიისპირეთისა და ამიერკავკასიის ახალგაზრდა კომპოზიტორთა შეხვედრები, გაცვლითი კონცერტები და შემოქმედებითი შეხვედრები მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ხელს უწყობენ საბჭოთა ხალხთა კულტურების ურთიერთგამდიდრებას.

ქართული პროფესიული მუსიკა ეყრდნობა მდიდარ ხალხურ ტრადიციებსა და კლასიკურ მემკვიდრეობას, საბჭოთა და პროგრესული მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების საუკეთესო მიღწევებს. სოციალისტური რეალიზმის პრინციპების ... [illegible]

... რიგ ცხოვრებაში უკანასკნელი წლების მანძილზე მიმდინარე პოლიტიკურ გარდაქმნებს. ბევრი ნაწარმოები აღინიშნა საპატიო ჯილდოებითა და მშვენიერთა დამსახურებული აღიარება მოიპოვეს.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კომპოზიტორებმა და მუსიკათმცოდნეებმა.

განმტკიცდა ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებითი და საქმიანი კონტაქტები რესპუბლიკის მშრომელებთან, მოსწავლე ახალგაზრდობასთან, საბჭოთა არმიის მეომრებთან.

მტკიცდება ქართველ კომპოზიტორთა ინტერნაციონალური ურთიერთობა. ისეთი ღონისძიებები,

... თვის, ხელოვნების პარტიულობისათვის, აქტიურად განავითარონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, ყოველნაირად შეუწყონ ხელი საბჭოთა ადამიანების ესთეტიკურ აღზრდას, განამტკიცონ შემოქმედებითი კონტაქტები რესპუბლიკის მშრომელებთან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის მუსიკალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლები კვლავაც წარმატებით ასახავენ თავიანთ ნაწარმოებებში ჩვენს გმირულ თანამედროვეობას, საბჭოთა ხალხის შრომითი გამარჯვებებს, ჩვენი დღეების გმირის — კომუნისტური საზოგადოების მშენებლის დიდ ზნეობრივ შემართებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

დიდი საუბარი ქართული მუსიკის შესახებ

რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა საქართველოს კომპოზიტორთა VII ყრილობა. 24 დეკემბერს ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გამართული ყრილობის საორგანიზაციო სხდომა ქართული მუსიკის შემდგომი განვითარების შესახებ ნაყოფიერი საუბრის ტრიბუნად გადაიქცა.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. ე. ჩერქეზია, თ. ი. მოსაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. შ. ჯანბერიძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გ. ლორთქიფანიძე.

საორგანიზაციო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ქართული მუსიკალური კულტურის უხუცესმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა გ. ჩხიკვაძემ.

ყრილობის დელეგატებმა აირჩიეს ყრილობის სამუშაო ორგანოები — პრეზიდიუმი, სამდივნო, სამანდატო კომისია, სარედაქციო კოლეგია, დაამტკიცეს დღის წესრიგი.

დამსწრეთა ტაშის გრიალში ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს მეთაურობით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგემ ნ. ჯანბერიძემ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება რესპუბლიკის კომპოზიტორთა ყრილობისადმი.

საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მუშაობის შესახებ გააკეთა გამგეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა კომპოზიტორმა ს. ცინცაძემ.

(დასასრული 20-ე გვ.)

დიმიტრი თევდორეს ძე უსტინოვის დაკრძალვა

(დასასრული)

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად, საბჭოთა მთავრობის პასუხსაგებ პოსტებზე ყოფნის დროს მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემუშავებასა და პრაქტიკულ განხორციელებაში, ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების, მისი ეკონომიკური და თავდაცვითი პოტენციალის ზრდის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საკვანძო ამოცანათა გადაწყვეტაში.

დიმიტრი თევდორეს ძე მჭიდროდ იყო დაკავშირებული მასებთან, უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა. იგი გამოირჩეოდა გულთადობითა და გულისხმიერებით, მშრომელი კაცის საჭიროებებისა და საზრუნავისადმი უდიდესი ყურადღებით, საბჭოთა ადამიანებმა არაერთხელ აღმოუჩინეს მისთვის მაღალი ნდობა — აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ბოლო [illegible] წელზე მეტი ხნის განმავლობაში დიმიტრი [...]

[...] საბჭოს დეპუტატად. იგი მუდამ მჭიდროდ იყო დაკავშირებული თავის ამომრჩევლებთან, რჩევა-დარიგებითა და საქმით ეხმარებოდა მათ ქალაქის განვითარების ამოცანათა გადაწყვეტაში.

დიმიტრი თევდორეს ძე უსტინოვი აქტიურად მონაწილეობდა მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში. დედაქალაქის კომუნისტები ირჩევდნენ მას საქალაქო პარტიული კონფერენციების დელეგატად. მას არაერთგზის წარმოუდგენია დედაქალაქის პარტიული ორგანიზაცია სკკპ ყრილობებზე.

მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე დიმიტრი თევდორეს ძე ღირსეულად ატარებდა კომუნისტის წოდებას, თქვა შემდეგ ორატორმა. ჩვენი სამშობლოს, საბჭოთა ხალხის ინტერესებს იგი ყველაზე მაღლა აყენებდა. დაუცხრომელი ბრძოლა პარტიის საქმისათვის, დიდი პასუხისმგებლობა, ბოლშევიკური პრინციპულობა, უდიდესი შრომისუნარიანობა და მომთხოვნელობა მასში ორგანულად იყო შეხამებული ადამიანის ღრმა პატივისცემასთან, მისი საჭიროებებისადმი გულისხმიერ, მზრუნველ დამოკიდებულებასთან, თავმდაბლობასთან, უბრალოებასთან, პირად მიმზიდველობასთან.

დიმიტრი თევდორეს ძე უსტი- [...]

შრომითი გამარჯვებებისა და მიღწევების ორმოცდაათი წელი

ღირსშესანიშნავი თარიღი — დაარსების ნახევარსაუკუნოვანი იუბილე აღნიშნეს რესპუბლიკის ორი დიდი საწარმოს — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნისა და ფოლადთუჯსამსხმელი ქარხნის კოლექტივებმა. საწარმოებში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები. კიროვის სახელობის ქარხანაში გაიხსნა ხელახლა აშენებული და აღჭურვილი შრომითი დიდების მუზეუმი და საბჭოთა რიტუალების დარბაზი. კლუბში ნაჩვენები იყო ამ ორი ქარხნის შრომითი წარმატებებისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმები.

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში საზეიმო სხდომა გაიმართა. სხდომას დაესწრნენ იუბილარი ქარხნების წარმომადგენლები, დედაქალაქის, რესპუბლიკის სხვა ქალაქების, საწარმოების მშრომელები, მოსკოვიდან, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები. ბევრს მკერდს უმშვენებს სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავები, ორდენები და მედლები.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, ბ. ვ. ნიკოლსკი, ტ. ვ. რონტიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ქალაქისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს, მთელი რიგი საკავშირო სამრეწველო გაერთიანებების წარმომადგენლები, წარმოების მოწინავეები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

სხდომის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის საბჭოთა კავშირის მარშლის დ. თ. უსტინოვის ხსოვნას.

საზეიმო სხდომა გახსნა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. დ. გაბუნიამ.

— პირველი საბჭოთა ხუთწლედის პირმშოები — ჩარხსაშენებელი და ფოლადთუჯსამსხმელი ქარხნები უკვე ნახევარი საუკუნის წინათ იყვნენ თბილისის მძიმე ინდუსტრიის ღერძი, — თქვა მან. — დაარსების დღიდან მათ საწარმოო კოოპერაციისა და მუშური მეგობრობის მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებთ. ფართოდ არის ცნობილი მთელ ქვეყანაში საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მარკიანი ლითონსაჭრელი ჩარხები — ამ ორი ქარხნის სახელგანთქმული კოლექტივების საერთო შემოქმედებითი შრომის ნაყოფი.

ნაძალადევის პროლეტარიატის სახელოვანი ტრადიციების გამგრძელებლებმა — ამ ორი საწარმოს კოლექტივებმა ამრავლეს ეს ტრადიციები. დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში მათ უმოკლეს ვადაში მოაგვარეს ფრონტისათვის საჭირო პროდუქციის გამოშვება და ღირსეული წვლილი შეიტანეს ფაშიზმზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების საერთო-სახალხო საქმეში. დღეს ეს კოლექტივები მნიშვნელოვანი მიზნებისათვის გათვალისწინებულ. თავიანთ პროდუქციას აწვდიან ქვეყნის მრავალ საწარმოს, აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცებაში. თავიანთ ნახევარსაუკუნოვან იუბილეს მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები შეხვდნენ მაღალი შრომის ნაყოფიერების ზრდით, გეგმითი გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების დამატებით შემცირებით, ხარისხის უმაღლესი კატეგორიის ნაწარმის ხვედრითი წილის გადიდების საქმეში დასახული მიზნების მიღწევის შესახებ. წარმატებით სრულდება ქარხნების სოციალური განვითარების გეგმებიც. მწყობრში დგება ახალი საცხოვრებელი სახლები, საბავშვო ბაღები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი.

ხუთი ათწლეულის მანძილზე დიდ წარმატებებს მიაღწიეს რესპუბლიკის ჩარხმშენებლებმა და მსხმელებმა, წინ კი უფრო პასუხსაგები ამოცანები აქვთ დასახული. მეთორმეტე ხუთწლედში უნდა დააჩქარონ წარმოების განახლების, პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოების ტემპი.

ამხანაგმა გ. დ. გაბუნიამ მხურვალედ მიულოცა საწარმოების კოლექტივებს იუბილე და წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მისალმება.

იუბილარებს მიესალმა სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის მინისტრის მოადგილე ვ. პ. კუდროვი. სამინისტროს სახელით მან ქართველ ჩარხმშენებლებსა და მსხმელებს უსურვა ახალი შრომითი მიღწევები ხალხის საკეთილდღეოდ, დარგის წინაშე დასახული ყველა ამოცანის შესრულება.

[...]

პარტიული ცხოვრება: სჯა-გაკსი სოფლის პრობლემებზე

თუ საქმეს ხელი არ დავკელით

[...]

ანაზღაურების საიმედო გარანტია

[...]

...და მაინც დამაკმაყოფილებლად ჩაითვალა

[...]

დიდი საუბარი ქართული მუსიკის შესახებ

[...]

კადრების სწავლება

[...]

მიწაზე მეურნეობას ინტენსიურად ვერ გავუძღვებით, ამხანაგებო, თუ არ გამოვიყენეთ მოწინავე გამოცდილება, მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევები.

ე. შევარდნაძე.

მეთერთმეტე ხუთწლედის მეოთხე წლის კალენდარს ბოლო ფურცლებიღა შერჩა. ახლა შეგვიძლია შევაჯამოთ ძიებისა და შრომის შედეგები. გარდაბნელებმა სამეურნეო წელი დიდი გამარჯვებით დაამთავრეს, ხოლო ბევრმა სამჭროთ მეურნეობამ თუ ბრიგადამ ხუთწლედი ოთხ წელიწადში შეასრულა და ახლა მეხუთე წლის ანგარიშში შრომობს.

დღევანდელის ხიჭენულის დამზადების დავალება შესრულებულია, სახელმწიფოს მიჰყიდა 104.880 ტონამე გადაღებით მეტი. მარცვლეულის დამზადების გეგმა 101 პროცენტით შესრულდა, ხილისა — 110 პროცენტით. ასევე გადამეტებით შესრულდა მეცხოველეობის დამზადების სახელმწიფო დავალება.

როგორ, რა გზით, რა საშუალებით მიაღწიეს ამ წარმატებებს? მოდით, „კომუნისტის" მრგვალ მაგიდასთან გავარკვიოთ ეს. მით უმეტეს, რომ საუბარი შემდეგ რაიონის მინდვრებში, ფერმებში, საწარმოებში გაგრძელდა.

მაშ ასე, პირველი სიტყვა პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველ მდივანს.

ოთარ ზოძერია:

პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ...

[illegible]

„კომუნისტის"
მრგვალ
მაგიდასთან

ძიებისა და შრომის შედეგი

ანუ როგორ გახდა გარდაბნის რაიონი მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის პოლიგონი

ცეზარ მოსიძე:

[illegible]

ზურაბ ფირცხალაიშვილი:

[illegible]

მაგდა გასიტაშვილი:

[illegible]

ოდდაერთი წელიწადია ამ მეურნეობას ვხელმძღვანელობ. მეურნეობა ყოველთვის მოწინავე იყო, ახლაც საბაზისოა. მეცნიე-

[illegible]

ვაჟა გაზიაშვილი:

[illegible]

[illegible]

ოისაგ ფანიაშვილი:

[illegible]

[illegible]

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

[illegible]

... წვლილისათვის, რესპუბლიკაში ჭადრაკის განვითარებასა და პროპაგანდაში დიდი წვლილისათვის ქალთა შორის სამგზის მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში, ჭადრაკის მსოფლიო ოლიმპიადების ოთხგზის გამარჯვებული, საერთაშორისო დიდოსტატი მაია გრიგოლის ასული ჩიბურდანიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.
თბილისი,
1984 წლის 24 დეკემბერი.

● ●

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ორკესტრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისა და წარმატებული საკონცერტო მოღვაწეობისათვის საქართველოს სახელმწიფო კამერულ ორკესტრს მიენიჭოს „საქართველოს სსრ დამსახურებული ორკესტრის" საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.
თბილისი,
1984 წლის 19 დეკემბერი.

● ●

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკაში პედიატრიის მეცნიერების განვითარების საქმეში დიდი წვლილისათვის, სამეცნიერო-სამედიცინო კვალიფიციური კადრების მომზადებისა და პრაქტიკული ჯანმრთელობის დაცვის დახმარებისათვის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.
თბილისი,
1984 წლის 19 დეკემბერი.

წიგნი ხუთწლედის სამსახურში

ფოთი ერთი იმ ქალაქთაგანია, სადაც ძალიან უყვართ კითხვა ...

[illegible]

ჭეშმარიტად დედოფლური წელიწადი

დღეს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში გაიმართება შეხვედრა სამგზის მსოფლიო ჩემპიონთან, თბილისის საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულთან, საერთაშორისო დიდოსტატთან, სპორტის დამსახურებულ ოსტატ მაია ჩიბურდანიძესთან. შეხვედრა დაიწყება 19 საათზე.

1984 წელი მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძისათვის მეტისმეტად დატვირთული, რთული, მაგრამ ერთობ მნიშვნელოვანი წარმატებებით იყო აღსავსე. შეიძლება ითქვას, იგი მაიამ თავიდან ბოლომდე ისე განვლო, როგორც მსოფლიო ჩემპიონს ეკადრებოდა.

ამ სეზონში მთავარი მაინც ირინე ლევიტინასთან მატჩი გახლდათ, მოჭადრაკესთან, რომელიც დიდი ხანია მიილტვის მსოფლიო ჩემპიონის „ტახტისაკენ". ადრე ხერხდებოდა მისი შეჩერება შორეულ თუ ახლო „მისადგომებთან", მაგრამ წლეულს ლენინგრადელმა ხორცი შეასხა თავის დიდი ხნის ოცნებას და სამაჟღროდ გაიწვია საჭადრაკო გვირგვინის მფლობელი. ამჯერად ლევიტინამ მატჩში გვიჩვენა ყოველივე საუკეთესო, რაც კი მას ახასიათებს: დიდი საჭადრაკო ერუდიცია, ენერგიული, შემართებული სტილი, დახვეწილი ტექნიკა, დიდი ბრძოლისუნარიანობა. ცხადი იყო, რომ ჩემპიონს მეტად ღირსეული პრეტენდენტი ერკინებოდა. ვთქვათ ისიც, რომ მატჩის პირველ ნახევარში თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა. „ძალა აღმართსა ხნავსო", ნათქვამია, და როცა შეკუმშული ზამბარა გაიშალა, ჩემპიონმა ისეთნაირად დაიწყო თამაში, როგორც სჩვევია და... ლევიტინას უკან დახევა მოუხდა. მატჩის შემდეგ ამჯერად უკვე ყოფილმა პრეტენდენტმა, გულწრფელად აღიარა, ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც უნდა დამთავრებულიყო.

მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლის ახალი, ორწლიანი ციკლის უსიამოვნო თავისებურება ის გახლავთ, რომ იგი მაია ჩიბურდანიძეს არსებითად დასვენების საშუალებას არ აძლევს, შეიძლება ახალი რეგლამენტი შემდგომში შეიცვალოს, მაგრამ ჯერჯერობით რაიმე შერბილებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ამჯერად ჩვენი ამოცანა არ გახლავთ ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რა მოხდება, ჩვენ ახლა ვწერთ იმაზე, რაც მოხდა! მოხდა კი ის, რომ მოიგო რა ანგარიშით 8,5:6,5 სრულიად დამაჯერებლად და დამსახურებულად, მაია ჩიბურდანიძე უკვე სამგზის მსოფლიო ჩემპიონი გახდა. თუ გავითვალისწინებთ იმ ამბავს, რომ მას 24 წელიც კი არ შესრულებია, ასეთი შედეგი ჭადრაკის ისტორიაში სრულიად უნიკალურად უნდა ჩავთვალოთ.

ასეთი წარმატების ფონზე ცალკეულ შეჯიბრებათა შედეგების მოხსენიება შეიძლება არც ყოფილიყო აუცილებელი, მაგრამ ერთ ამბავს შეუძლებელია გვერდი აუარო. მხედველობაში გვაქვს ფიდეს გადაწყვეტილება მაიასათვის ვაჟთა შორის დიდოსტატის წოდების მინიჭების შესახებ. ამის გაკეთება, ალბათ შარშანდელ კონგრესზეც შეიძლებოდა, მაგრამ წლეულს მას სხვა, განსაკუთრებული ღირსება ჰქონდა. მაიას, აფრინდელს რომ თავი დაანებოთ, წლეულს იმდენი წარმატება დაუგროვდა, საგანგებო აღნიშვნას მოითხოვდა. პირველი პრიზი მოიპოვა ინდოეთში გამართულ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში, სწორედ იმ ქვეყანაში, რომელმაც კაცობრიობას ჭადრაკი აჩუქა! შესანიშნავად ითამაშა პოლონეთის ფრიად ძლიერი შემადგენლობის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში... როცა მაია ქალებს უგებს, ეს კიდევ გასაგებია, მაგრამ როცა ზედიზედ ამარცხებს ცნობილ დიდოსტატებს, ეს გარემოება უკვე რაღაც განსაკუთრებულ მოვლენაზე მეტყველებს: ხომ არ გამართლდება ფრანგული ფემინისტური ჟურნალის „ოლიმპიას" წინასწარმეტყველება: თუ ახლა მოჭადრაკე ქალები მხოლოდ ეწევიან ვაჟებს, XXI საუკუნეში გაუსწრებენ მათ და ვაჟებს „დამხმარე პერსონალის" მდგომარეობამდე ჩამოაქვეითებენ?! განაგრძობს რა ფანტაზიას მომავალზე, „ოლიმპია" წერს, რომ ვაჟებს სხვა აღარაფერი დარჩებათ, თუ არა ქალთა შეჯიბრებებზე დემონსტრირების, ჭადრაკის მიმტან-მომტანის როლის შესრულება.

ერთი კი უეჭველია: ოცდამეერთე საუკუნეს მაია საკმაოდ ახალგაზრდა შეხვდება.

კიდევ ერთი, რაც მაიას და მის თაყვანისმცემლებს 1984 წლის სეზონიდან დაამახსოვრდებათ, გახლავთ მისი წარმატებები ელადის მიწა-წყალზე. მსოფლიო ჩემპიონი დიდი ინტერესით მოელოდა მოგზაურობას იმ ქვეყანაში, რომლის როლი კაცობრიობის კულტურის ისტორიაში სრულიად განსაკუთრებულია. მაიამ ოლიმპიადაზე წაიღო ბერძნული ენის თვითმასწავლებელი, რათა მასპინძლებთან გასაუბრება შესძლებოდა. ჯერ ოლიმპიური ჩემპიონის მედალი, შემდეგ კი ათენის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში მოპოვებული პრიზი (დიდოსტატებთან გუფელდთან და კუბელ როდრიგესთან ერთად გაყოფილი 2-4 ადგილები) ღირსეულად წარმართული სეზონის ღირსეული დაგვირგვინება გახლდათ.

და აი, მაია ისევ თბილისშია, დედოფლის მესამე გვირგვინითა და სხვადასხვა ასპარეზობაში მოპოვებული მედლებით შემკობილი. მას ვხედავთ მშობლებთან, მეგობრებთან და ნათესავებთან, ყოველდღიურ საქმიანობაში, ინსტიტუტში, ჭადრაკის სასახლეში. მაგრამ რაკი მსოფლიო ჩემპიონს დასვენების საშუალება არა აქვს, დგება ისევ და ისევ ახალ შეჯიბრებებში მონაწილეობის, სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობის ახალი ციკლი. ძნელია გაამტყუნო რომელიმე საჭადრაკო ორგანიზაცია — ყველას სურს იხილოს მსოფლიო ჩემპიონის თამაში.

ჩვენი წერილი ერთი ვარაუდით გვინდა დავამთავროთ. ცხადია, წინასწარ არავინ გვაცნობებს, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებენ საჭადრაკო ჟურნალისტები, რომლებიც 1984 წლის „ოსკარს" ანიჭებენ... ამ გადაწყვეტილების მიღებამდე კიდევ რჩება გარკვეული დრო, მაგრამ არსებობს იმის უტყუარი საფუძველიც, რომ „ოსკარის" ლაურეატი სწორედ მაია ჩიბურდანიძე გახდება.

ბ. გამრეკელი.

მაია ჩიბურდანიძე.

საუკუნოვანი სკოლა

ბორჯომიდან 25 კილომეტრზე, სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს მშვენიერი მთის სოფელი ტაძრისი, სადაც ამ ასი წლის წინათ საზოგადო მოღვაწემ იოსებ ნებაძემ ერთკლასიანი სასწავლებელი გახსნა. თავიდან სკოლაში, რომელიც დაქირავებულ ქოხში იყო მოთავსებული, მხოლოდ 7 მოსწავლე იყო.

დღეს ტაძრისის საშუალო სკოლა ერთ-ერთი კეთილმოწყობილი და სანიმუშოა რაიონში. იგი 348 მოსწავლეს ითვლის, რომელთა სწავლა-აღზრდის საქმეს 24 უმაღლესი განათლების პედაგოგი ემსახურება. მოსწავლეთა განკარგულებაშია სასწავლო კაბინეტები, სპორტული დარბაზი და მოედნები.

სკოლის ასი წლისთავის ზეიმი, რომელიც ახლახან გაიმართა, სოფლის მშრომელთა დღესასწაულად იქცა. საზეიმო მიტინგზე გამომსვლელებმა ილაპარაკეს სკოლის წარსულსა და აწმყოზე, იმ ადამიანებზე, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი დასდეს ტაძრისელთა ცოდნის კერას.

„კომუნისტის" საკ. კორ.

ახალმოსახლეობა

მახარაძე. (საკ. კორ.). ახლახან აქ ბესიკის ქუჩაზე საექსპლოატაციოდ გადაეცა რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, გაგარინის ქუჩაზე კი ახალმოსახლეობა იზეიმა ფაბრიკის 70 ოჯახმა. დამამთავრებელი სამუშაოები მიმდინარეობს მელიოთსამშენებლოს 70-ბინიან საცხოვრებელ სახლში, რომელიც გრიბოედოვის ქუჩაზე შენდება. მშენებლობის პროცესშია საბინაო-კომუნალური მეურნეობის ორი ორმოცბინიანი საცხოვრებელი სახლი.

40-ბინიან სახლებს აშენებენ ნაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება და „საქმთავარენერგოს" მახარაძის ორგანიზაცია. გაისად საბინაო მშენებლობის მასშტაბები კიდევ უფრო გაფართოვდება.

საბავშვო კაფე

წყალტუბო. (საკ. კორ.). ადგილობრივი სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის დირექციის ინიციატივით, ენერგეტიკოსთა დაბაში მდინარე. ლაღიძის. პირას გაიხსნა 40-ადგილიანი საბავშვო კაფე კერძების ფართო ასორტიმენტით (მრავალფეროვანი საკონდიტრო ნაწარმი, ნაყინი, ხილის წვენები, მინერალური წყლები). კაფე დაკვეთებს იღებს დაბადების დღისა და სხვა ღირსშესანიშნავი თარიღების აღსანიშნავად.

„კომუნისტი"

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია

380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-98-03, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-01, მარქსიზმ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-58-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-56-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 290-68-47; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-27-53; ქუთაისი — 5-29-63; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-08-15; ფოთი — 5-59-69; მახარაძე — 6-24-44; ზუგდიდი — 5-56-36; თელავი — 3-12-09; წითელწყარო — 28-66; რუსთავი — 25-52.

დიდი სამამულოს ქრონიკები

აი, რას წერდა გაზეთი „კომუნისტი" 40 წლის წინათ.

1944 წლის 20-26 დეკემბერი

● ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის ტერიტორიაზე ჩვენი ჯარები ხელყოფენ მტრის წინააღმდეგობას, საინჟინრო დაბრკოლებებს მთიან-ტყიან ადგილებში, იკავებენ დასახლებულ პუნქტებს, რკინიგზის სადგურებს, ტყვედ იღებენ დამარცხებულ ათასობით ჯარისკაცსა და ოფიცერს. ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

● საბჭოთა დროშები უკვე ბუდაპეშტთან ფრიალებენ. ჩვენი ჯარები დუნაის გაღმა იმუქრებიან. მტერი ვოლგასთან იყო, ახლა კი განადგურებულია და უკუქცეულია ათასობით კილომეტრზე.

● 1941 წელს გერმანიაში სიკვდილით დასაჯეს 2.921 კაცი, ხოლო 1943 წელს — 5.360 კაცი. მათი უმრავლესობა ჰიტლერელებმა სიკვდილით დასაჯეს სახელმწიფოს ღალატის, სამხედრო-სამეურნეო განკარგულებათა შეუსრულებლობის და სამხედრო კანონთა წინააღმდეგ საბოტაჟის ბრალდებათა გამო.

● უკანასკნელი დღეები ბრძოლით უნგრეთში აღინიშნა მარშალ მალინოვსკის ჯარების სწრაფი წინსვლით. შემტევები გადავიდნენ სახლვარზე, შეიჭრნენ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე და განაგრძობენ შეტევას განუხორციელებლად ბრძოლით დასავლეთით... შეტევა ბრძოლით უნგრეთში და ჩეხოსლოვაკიის სამხრეთ რაიონებში გრძელდება.

● უნგრეთის ტერიტორიაზე ქალაქების დიენდიოშისა და ბუდაპეშტის ბრძოლით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობენ; ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები წარმოებდა.

● კომკავშირელი გმირი მეომარი ერონის ინაური!.. ალარსაოდეს დაბრუნდება საქართველოში, მშობლიურ ბორჯომში. იგი კარპატების მთებში წევს, მაგრამ იმ ალღოქების გუგუნი, რომელშიც ერონის დიდება, კვლავ გაისმის კიდით კიდემდე როგორც მტერზე შურისძიებისათვის მოწოდება...

● ოფიცრები გოგორიძე, შენგელია, ახალციბე, გოგორიძე, კვანი, პერეზმანი და სხვები სწრაფ ...

უცხოეთში

24 დეკემბერი

ფაქტები, მოვლენები, საქმესი იუწყება

საერთო მოვალეობა

ბონი/ფრანკფურტი. ... ფედერაციული რესპუბლიკის თავისუფალი პროფკავშირული მოღვაწის ი. ლეონბახის წერილზე ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს პასუხს, საზღვარგარეთის ქვეყნების მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, თავისუფალი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი მაღალ შეფასებას აძლევენ სსრ კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების სხვა მონაწილე სახელმწიფოთა მტკიცე გადაწყვეტილებას მიაღწიონ ქიმიური იარაღის აკრძალვას მსოფლიოს მასშტაბით. გამოხმაურებებში აღნიშნულია: ჩვენი საერთო მოვალეობაა ძალ-ღონე არ დავიშუროთ, რათა დედამიწას მოვაშოროთ ეს ბარბაროსული იარაღი.

უკვე ორი წერილი გაუგზავნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს ჰ. კოლს, რომელშიც მოუწოდა მას დაიწყოს შესაბამისი მოლაპარაკება ევროპაში ქიმიური იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ. მაგრამ საბჭოთა ხელმძღვანელისაგან განსხვავებით, რომელმაც პასუხი გაუგზავნა ი. ლეონბახს, დასავლეთ გერმანიის მთავრობის მეთაური აქამდე უყურადღებოდ ტოვებს პროფკავშირების ყველა მოწოდებას, დასძინა ჰ. შეერმა.

საბჭოთა სახელმწიფოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელმა კ. უ. ჩერნენკომ აღნიშნა, რომ სსრ კავშირი და მისი მოკავშირეები — ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები მზად არიან ყოველ მომენტში გამართონ აზრთა გაზიარება ნატოს ქვეყნებსა და ევროპის სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებთან ქიმიური იარაღისაგან ევროპის განთავისუფლების საკითხზე. იუწყება მოსკოვიდან ავსტრიის საინფორმაციო სააგენტო. კ. უ. ჩერნენკოს პასუხში აღნიშნულია, რომ ქიმიური იარაღი — მასობრივი მოსპობის საშუალება — ბირთვულ იარაღთან ერთად უდიდეს საფრთხეს უქმნის კაცობრიობას. მაგრამ ნატოს ქვეყნები, მათ შორის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ხელს უშლიან ქიმიური იარაღის სრულ აკრძალვას, უარს ამბობენ განიხილონ მაინც წინადადება, რომელიც ეხება ევროპის კონტინენტს.

საბჭოთა ხელმძღვანელის პასუხი მოწმობს, რომ სსრ კავშირი ქიმიური იარაღის აკრძალვის საკითხს ანიჭებს უპირველეს მნიშვნელობას, წერს კვაიროსის გაზეთი „ჰარავგა". მოსკოვი დიდი ხანია გვთავაზობს გამოვაცხადოთ ქიმიური იარაღი კანონგარეშე, ამოვიღოთ იგი სახელმწიფოთა არსენალებიდან. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები და მისი ნატოელი მოკავშირეები ყურად არ იღებენ სოციალისტური თანამეგობრობის ამ კონსტრუქციულ და ჰუმანურ ინიციატივებს. და, როგორც ჩანს, განზრახული აქვთ დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე ამერიკული ქიმიური იარაღის ისედაც დიდი მარაგი კვლავაც გაზარდონ განსაკუთრებით სახიფათო საბრძოლო მასალების ხარჯზე. ასეთი მდგომარეობით გამოწვეული შეშფოთება მით უფრო გასაგებია,

თუ გავიხსენებთ, რომ გასული წლის დეკემბრიდან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მდგომარეობა თავისებურად „უნიკალური" გახდა დასავლეთ ევროპაში. მხოლოდ მის ტერიტორიაზე აღმოჩნდა თავმოყრილი ამერიკული რაკეტები „პერშინგ-2" და ამერიკული ქიმიური იარაღი. ასეთი მდგომარეობიდან გამომდინარე სახიფათო შედეგები თვით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და მისი მეზობლებისათვის, სავსებით ცხადია.

საბჭოთა კავშირი და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა დაიქარდეს ქიმიური იარაღის აკრძალვის კონვენციის დადება მსოფლიო მასშტაბით, აღნიშნავს ლიბანის „ან-ნიდა".

ამ კეთილშობილური მიზნის მიღწევის გზაზე, როგორც ერთ-ერთი უპირველესი ნაბიჯი, ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებმა ჯერ კიდევ 1984 წლის იანვარში წამოაყენეს წინადადება მორიგდნენ ყველა სახეობის ქიმიური იარაღისაგან ევროპის განთავისუფლების შესახებ. დასავლეთის ბრალია, რომ ეს წინადადება, რომელიც შეესაბამება მთელი კაცობრიობის ინტერესებს, დღემდე არ არის რეალიზებული.

ჩვენი პლანეტის ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი იზიარებს საბჭოთა ხელმძღვანელის კ. უ. ჩერნენკოს აზრს იმის შესახებ, რომ ახლანდელ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქიმიური იარაღის უსწრაფესად აკრძალვის ყველა მომხრის აქტიური პოზიცია, აცხადებს „ტაიმს ოფ ინდია". ჩვენი საერთო მოვალეობაა ძალ-ღონე არ დავიშუროთ, რათა მოვაშოროთ დედამიწას ეს ბარბაროსული იარაღი.

„რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს, რათა ხელი შეუწყოს ევროპაში ქიმიური იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნას, — ხაზს უსვამს რუმინეთის „სკინტეია". — უპასუხა რა დასავლეთ გერმანიის პროფკავშირული მოღვაწის წერილს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. უ. ჩერნენკომ აღნიშნა ის უდიდესი საფრთხე, რომელსაც უქმნის მასობრივი მოსპობის ამ სახეობის იარაღი მთელ კაცობრიობას".

ბულგარეთის გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო", რომელმაც გამოაქვეყნა კ. უ. ჩერნენკოს პასუხზე საზღვარგარეთის გამოხმაურებათა შენარჩევი, წერს: „ისტორიისა და მომავალი თაობების წინაშე ყველა სახელმწიფოს მოვალეობაა აცილოს ქიმიური ომის საფრთხე ევროპას, ახალი ძალა შთაბეროს დაძაბულობის შენელებას, გადააქციოს ჩვენი კონტინენტი მასობრივი მოსპობის იარაღისაგან მთლიანად თავისუფალ მშვიდობის კონტინენტად.

● ჩინეთი

მოლაპარაკება პეკინში

პეკინი. 1984 წლის 21-28 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ი. ვ. არხიპოვმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილემ იაო ილინმა ხაზი სხდომა გამართეს, რომლებზეც ერთმანეთს გაუცნეს თავიანთი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა, აგრეთვე აზრები გაუზიარეს ერთმანეთს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების თაობაზე.

მხარეებმა განიხილეს ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის და ეკონომიკური, სავაჭრო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კომისიის შექმნის შესახებ შეთანხმებათა ხელმოწერის საკითხები და მიაღწიეს მორიგებას ამ საკითხებზე.

ორივე მხარემ მოლაპარაკა აგრეთვე 1985 წლის პირველ ნახევარში ხელი მოაწერონ 1986-1990 წლების გრძელვადიან შეთანხმებას საქონელბრუნვისა და გადასახდელების შესახებ. ამასთან დაკავშირებით 1985 წლის პირველ კვარტალში მხარეთა შესაბამის ორგანიზაციებს შორის გაიმართება მოლაპარაკება.

მოლაპარაკების დროს გაიმართა აზრთა გაზიარება ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა კეთილმოსურნეობისა და კონსტრუქციულ ვითარებაში.

● ინდოეთი

არჩევნები დაიწყო

დელი. ინდოეთში დაიწყო მერვე მოწვევის პარლამენტის სახალხო (ქვედა) პალატის არჩევნები. კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება აქვს 380 მილიონამდე ინდოელს. მათგან 20 მილიონი, რომლებმაც საარჩევნო ასაკს მიაღწიეს, პირველად გამოიყენებს ამ უფლებას.

პირველ დღეს კენჭისყრა გაიმართება რესპუბლიკის 22 შტატისა და ექვსი საკავშირო ტერიტორიის 389 ოლქში. მასში მონაწილეობას მიიღებს 275 მილიონზე მეტი ამომრჩეველი. 4073 კანდიდატს შორის არიან ინდოეთის ეროვნული კონგრესის (ი) მმართველი პარტიის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი რაჯივ განდი, ინდოეთის მთავრობის 22 მინისტრი, ოპოზიციური პარტიების თვალსაჩინო მოღვაწენი. არჩევნების წინასწარი შედეგები ცნობილი იქნება 28 დეკემბერს შუადღით.

შექმნილი რთული ვითარების გამო არჩევნები გადადებულია პენჯაბსა და ასამში. იგი არ გაიმართება აგრეთვე ზოგიერთი სხვა შტატის რამდენიმე ოლქსა და მიზორამის საკავშირო ტერიტორიაზე, სადაც ინდოეთის ეროვნული კონგრესის (ი) წარმომადგენელი ერთადერთი კანდიდატი იყო და მეტოქეები არ ჰყავდა. უტარ-პრადეშის ათ ოლქში არჩევნები გაიმართება ორ დღეს — 24 და 27 დეკემბერს.

არჩევნების წინადღით სრულიად ინდოეთის რადიოთი და ტელევიზიით გადაცემულ სპეციალურ მიმართვაში არჩევნების მთავარმა კომისარმა რ. კ. ტრივედიმ დაარწმუნა ამომრჩევლები, რომ მათ შეუძლიათ სრულიად უშიშრად მისცენ ხმა ნებისმიერ კანდიდატს. ხელისუფლებამ განახორციელა არჩევნების პერიოდში ნორმალური ვითარების უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

ფოტორეპორტაჟი

● იაპონია

„არ გვინდა ამერიკული „ტომაგავკები"!"

„არ გვინდა ამერიკული „ტომაგავკები"!" — ასეთი ლოზუნგებით იაპონიაში არ ცხრება მანიფესტაციები. მათი მონაწილენი მტკიცედ იღაშქრებენ ვაშინგტონის ადმინისტრაციის აგრესიული სტრატეგიის წინააღმდეგ, მთავრობისაგან მოითხოვენ მკაცრად დაიცვას სამი „უბირთვო პრინციპი" — არ შემოიტანოს, არ იქონიოს და არ აწარმოოს ბირთვული იარაღი.

პენტაგონის გეგმებში არცთუ უკანასკნელი როლი ეკისრება ბირთვულ „ტომაგავკებს", რომელთა განლაგება უკვე დაიწყო შორეულ აღმოსავლეთში. ეს, იაპონიის მოსახლეობის უმრავლესობის აზრით, ზრდის ბირთვულ ომში ქვეყნის ჩათრევის საფრთხეს, რომელშიც იგი სამიზნედ მოქცევის თეატრად იქცევა. მანიფესტანტები მოუწოდებენ ქვეყნის პროგრესულ ძალებს შეკავშირდნენ ბირთვული იარაღის სრული აკრძალვისათვის ბრძოლაში, ახსოვდეთ ხიროსიმისა და ნაგასაკის ტრაგედია.

სურათებზე: იოკოტაში ამერიკის შეერთებული შტატების ბაზასთან გამართული ომისსაწინააღმდეგო მანიფესტაციის მონაწილენი; „ტომაგავკის" გაშვება წყალქვეშა ნავიდან.

საჯგუფის ფოტო.

ჭადრაკი

საჭურნირო ორბიტა

ხელბურთი. ზაპოროჟიეში გრძელდება ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნითი ეტაპის მატჩები. გთავაზობთ მორიგი კალენდარული მატჩების შედეგებს; 23 დეკემბერი — ცსკა-თბილისის „ქართველი"? — 33:24, ჩელიაბინსკის „პოლიოტი"-კაუნასის „გრანიტასი" — 24:30, ლვოვის ასკ-კიევის ასკ — 22:27, კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტი-მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — 26:27, მინსკის ასკ-ლენინგრადის „ნევა" — 32:30, ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტი-მოსკოვის „კუნცევო" — 19:16; 24 დეკემბერი — მინსკის ასკ-„პოლიოტი" — 27:26, ცსკა-„კუნცევო" — 17:19, „ქართველი"? — ლვოვის ასკ — 26:29, „გრანიტასი"-ფიზკულტურის ინსტიტუტი — 30:27, კიევის ასკ-„ნევა" — 20:21, საავიაციო ინსტიტუტი-ინდუსტრიული ინსტიტუტი — 26:25.

წყალბურთი. მოსკოვსა და ლენინგრადში გრძელდება საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის საწყისი ეტაპის მატჩები. მორიგი კალენდარული მატჩების შედეგები ასეთია: ლენინგრადი. ალმა-ათის „დინამო"-კიევის „დინამო" — 8:7, თბილისის „დინამო"-ლვოვის „დინამო" — 4:6, ლენინგრადის „ბალტიკა"-ტაშკენტის „მეჩნატი" — 16:6, მოსკოვი. მოსკოვის „მოსკვიჩი"-კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი (ბაქო) — 9:8, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი-ხარკოვის „ლოკომოტივი" — 13:9, მოსკოვის უნივერსიტეტი-მოსკოვის „დინამო" — 6:6.

კალათბურთი. მოსკოვსა და მინსკში დამთავრდა ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის დასკვნითი ეტაპი. ამ ტურის ბოლო მატჩები ასე დამთავრდა: ლენინგრადი. ვილნიუსის „სტატიბა"-მოსკოვის „დინამო" — 83:94, ლენინგრადის „სპარტაკი"-რიგის ვეფ — 103:71, ვლადივოსტოკის „სპარტაკი"-მინსკის რტი — 70:96; მოსკოვი. ცსკა-კაუნასის „ჟალგირისი" — 78:80, ტაშკენტის „უნივერსიტეტი"-კიევის „სტროიტელი" — 76:82. თბილისის „დინამოსა" და კიეველ არმიელთა მატჩის შედეგს უნდა გადაეწყვიტა, მოხვდებოდნენ თუ არა 8 საუკეთესო გუნდს შორის თბილისელები. დინამოელებმა ეს ამოცანა თავიანთ სასარგებლოდ (88:86) გადაწყვიტეს და მომდევნო ეტაპზე განაგრძობენ ბრძოლას საუკეთესოთა შორის. მეორე წრის შემდეგ გუნდები გათამაშების ცხრილში ასეთი თანმიმდევრობით განაწილდნენ: „ჟალგირისი" — 42 ქულა, ცსკა — 41, ლენინგრადის „სპარტაკი" — 37, ვეფ და „სტროიტელი" — 34-34, რტი, თბილისის „დინამო" და კიევის ასკ — 32-32 ქულა. IX-XII ადგილებზე დარჩნენ „უნივერსიტეტი" და „სტატიბა" — 30-30, ვლადივოსტოკის „სპარტაკი" და მოსკოვის „დინამო" — 26-26 ქულა. 8 საუკეთესო გუნდი მედლებისათვის ბრძოლას განაახლებს მოსკოვსა და კაუნასში. ამ ეტაპის პირველი ტურის მატჩები გაიმართება მომავალი წლის 4-6 იანვარს. აღსანიშნავია ისიც, რომ IX-XII ადგილებზე გასულ კოლექტივებთან პირველ და მეორე წრეში მოპოვებული შედეგები I-VIII ადგილებზე მყოფ გუნდებს უუქმდებათ და ამიტომ ამ ეტაპისთვის 8 საუკეთესო გუნდი მოგებათა შემდეგი რაოდენობით წარდგება: „ჟალგირისი" და ცსკა — 12-12 მოგება, ლენინგრადის „სპარტაკი" — 8, ვეფ და „სტროიტელი" — 6-6, რტი — 5, თბილისის „დინამო" — 4, კიევის ასკ — 3 მოგება.

რედაქტორი გ. ბედინეიშვილი.

მოსკოვი

25 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „დრემია". 9.35 — სპორტული გადაცემა უნგრეთიდან. 10.25 — პ. ი. ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინი". 13.10 — დოკუმენტური ტელეფილმი. 13.40 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ფილმი. 16.20 — ფილმ-კონცერტი. 16.55 — „ნ. ს. ვაშნევსკი — მწერალი, კომუნისტი". 17.55 — ახალი ამბები. 18.00 — „ცოდნის კარი ყველასთვის ღიაა". 18.45 — დედამიწაზე, ცაში და ზღვაში. 19.15 — თანამედროვე მსოფლიო და მშვიდობისთვის მოძრაობა. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ჩვენი ბაღი. 20.30 — არჩევნების შესახებ. 20.55 — მხატვრული ტელეფილმი „სხვისი ცოლი და ქმარი საწოლქვეშ". 22.00 — „დრემია". 22.35 — პოეზია. ს. ორლოვი. 22.55 — ფილმ-კონცერტი ბ. პლისეცკაიას მონაწილეობით. 23.30 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15, 11.10 და 15.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 9.35 — ისტორია. მე-5 კლასი. 10.00 — ფრანგული ენა. 11.35 — საბჭოთა სახელმწიფოს და სამართლის საფუძვლები. მე-8 კლასი. 12.05 — საჭადრაკო სკოლა. 13.10 — „ბუნებისმეტყველების" ფესტა. 14.25 — ვ. მაიაკოვსკი. „როგორ ვაკეთოთ ლექსები?!". 15.05 — დროზ-

ჩვენს ტელეეკრანზე

...დენის გალერეის შედევრები. 15.45 — მოგონებანი ვ. გარშინზე. 16.45 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — დედის სკოლა. 19.45 — ფილმ-კონცერტი. 20.15 — „...თექვსმეტ წლამდე და უფრო ასაკისა". 21.00 — „ბილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — ბურთიანი ჰოკეი. „ზორკი"-„როდინა", მე-2 ტაიმი. 22.00 — „დრემია". 22.35 — მხატვრული ფილმი „შვიდი ბერიკაცი და ერთი ქალიშვილი". 23.55 — ახალი ამბები.

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „დრემია". 9.30 — „მოამბე". 10.10 — საერთაშორისო დღიური (განმეორებით). 10.40 — მხატვრული ფილმი „გვიანი პაემანი". 12.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლუდმილა ზიკინას კონცერტი". 13.05 — ქართული ენის ტელეკურსი (სტუდიაშია ლ. კვაჭაძე). 13.35 — ახალი ამბები. 16.05 — ახალი ამბები. 16.15 შევისწავლოთ ინგლისური ენა (სტუდიაშია ალ. ბათიაშვილი). 16.45 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა 17.20—ხალხური შემოქმედება — ქალაქური მელოდიები. 18.00 — პარტიული ხელმძღვანელობის სტილი". 18.45 — „ახალგაზრდობა" — სატელევიზიო პროგრამა. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.35 — „არჩევნების შესახებ სახელმწიფო საკითხები(?)". 21.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების ციკლი — „გზა", ფილმი მეოთხე: „უკუქცევაა სუენსეანისა ბედისა", პრემიერა (საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის ნაწარმოები). 21.50 — „ჩვენი საუკუნე გიცავს უახლეს". 22.00 — „დრემია". 22.35 — „მუსიკა-84". 23.55 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.05 — მხატვრული ფილმი „დათოული ქორწილი". 17.20 — განცხადებები. 17.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოგზაურობა პეტერბურგიდან არზრუმში". 18.10 — მოსწავლეებისათვის — გეოგრაფია.

თეატრი

25 ოქტომბერი

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური–პროფესიული ამბავი; თბილისის სახელმწიფო დრამატული — ყრუ ღმერთები; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მეტეხის სრდილში; მინიატიურების სახელმწიფო — ნაკრებები; მეტეხის — შვეიკი; ფილარმონია — „ჯაზ „75" (დიდ საკონცერტო დარბაზში); მღერის ლ. კალმახელიძე — სოპრანო (კონსერვატორიის მეორე დარბაზში).

НОМУМНСТИ ИНДЕКС 66434 | ШЗ 15142 | გამომცემლობა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. 14, მცველოვსკი გაზეთ ჟურნალ... ნაბეჭდი ოფსეტური წესით, საქართველოს კომპარტიის ... პოლიგრაფკომბინატის ... სტამბა 27.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20